საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2455
12/06/2022

2455-21-2-202206120944

შპს „მირაზეს“
მის: ქ. მარნეული, წერეთლის ქუჩა №25ა
ელ. ფოსტა: gasanovi52@inbox.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1528 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. მარნეულში სასარგებლო წიაღისეულის (პემზა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად);
- სკრინინგის განცხადებას უნდა ერთოდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 83.02.17.876; 83.02.17.903 83.02.17.299; 83.02.17.926 83.02.17.661; 83.02.38.011) განთავსებულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები. ამასთან, საწარმოდან დაახლოებით 350 მეტრში მდებარეობს მარნეულის საავიაციო (საჰაერო) ბაზა. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს მიმდებარედ არსებული ობიექტების ფუნქციური დანიშნულებისა და შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურების და შემდგომი მართვის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ

წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო